ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6817133

ნომერი: AR11006379

თარიღი : 14.12.2023

გაცემის თარიღი : 22.12.2023

გაცნობის თარიღი : 22.12.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N 22ა; ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N 22ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია სესიაშვილი პ/ნ 01013016006
- თბილისი გურამ რჩეულიშვილის ქ. 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 დეკემბრის №6802073 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 14 დეკემბერს №AR11006379 განცხადებით მომართა მაია სესიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 12

დეკემბრის №6802073 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის მისამართის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 12 დეკემბრის №6802073 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №22ბ-ში და პეტრე ქავთარაძის ქუჩა №22ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.14.03.040.372 და ს/კ: №01.14.03.040.095) არსებული შენობა/ნაგებობების დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა. დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 12 დეკემბრიდან 2024 წლის 12 ივნისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 12 დეკემბრის №6802073 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ, განმცხადებელი, განმარტავს, რომ ბრძანებაში არასწორად არის დაფიქსირებული მიწის ნაკვეთის მისამართი.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2023 წლის 29 ნოემბრის №AR11003276 განცხადებით მოთხოვნილ იქნა დემონტაჟის ნებართვის გაცემა. სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა. თუმცა, სამსახურის 2023 წლის 12 დეკემბრის №6802073 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში მიწის ნაკვეთის მისამართი არასწორად დაფიქსირდა.
როგორც დღევანდელი მდგომარეობით, ასევე, სამსახურის 2023 წლის 12 დეკემბრის №6802073 ბრძანების გამოცემის მომენტისთვის არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №892023189834; მომზადების თარიღი: 01/11/2023 წ., განცხადების რეგისტრაცია: №892023189907; მომზადების თარიღი: 01/11/2023 წ.) №01.14.03.040.372 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მისამართს წარმოადგენს: ქ.თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №22ბ. ხოლო, №01.14.03.040.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მისამართს - ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №22ა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2023 წლის 12 დეკემბრის №6802073 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 დეკემბრის №6802073 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შეთანხმდეს ქ. თბილისში პეტრე ქავთარაძის ქუჩა №22ბ-ში და პეტრე ქავთარაძის ქუჩა №22ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.14.03.040.372 და ს/კ: №01.14.03.040.095) არსებული შენობა/ნაგებობების დემონტაჟის პროექტი.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 დეკემბრის №6802073 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 23 წლის 12 დეკემბრის №6802073 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.